# პროექტის ფაქტები



**საქართველო მწვანე მომავლისკენ**




**განხორციელების ვადა:** 01.09.2025 - 30.06.2027

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 615 850

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 615 850

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
NTU International AS

**პროექტის აღწერა:**

პროექტი „საქართველო მწვანე მომავლისკენ“ ხელს უწყობს საქართველოს მწვანე და მდგრადი მომავლისკენ სვლას. ინიციატივა მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვით საკითხებზე, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლასა და მწვანე  გარდაქმნაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, მწვანე ინიციატივების მიმართ, ევროკავშირის მხარდაჭერის შესახებ, ცნობიერების ამაღლებას, ასევე, საზოგადოების ფართო ჩართულობას, მდგრადი პრაქტიკების დანერგვასა და კლიმატის ცვლილების საპასუხო ქმედებებში, ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოქალაქეები, ახალგაზრდები, ქალები, მოწყვლადი ჯგუფები და ბიზნესი უკეთ იქნებიან ინფორმირებული და გადადგამენ პრაქტიკულ ნაბიჯებს უფრო მწვანე ცხოვრების მიმართულებით.
2. ევროკავშირის წვლილი სუფთა ენერგიაში, მდგრად ტრანსპორტში, ნარჩენების გადამუშავებასა და კლიმატის ინიციატივებში უფრო თვალსაჩინო გახდება საზოგადოებისათვის.
3. სამოქალაქო ორგანიზაციები, თემები და ბიზნესი, განსაკუთრებით ახალგაზრდები და უმცირესობები, აქტიურად ჩაერთვებიან კლიმატისა და გარემოსდაცვით დისკუსიებში.
4. კრეატიული საინფორმაციო კამპანიები და ღონისძიებები აამაღლებს ცნობიერებას და უბიძგებს მოსახლეობას ყოველდღიური მწვანე ქმედებებისკენ.
5. ჟურნალისტებთან, ინფლუენსერებთან, სკოლებთან და ევროკავშირის მხარდაჭერით მოქმედ პლატფორმებთან თანამშრომლობა გააძლიერებს მდგრადობის გზავნილების გავრცელებას მთელ საქართველოში.